მეორე წერილი

მიტროპოლიტ ანთიმოზ ივერიელისა[1], რომელითაც ბრაშოვის შკეის მხარეში არსებული ეკლესიის მსახურებს აძლევს ახალ დარიგებებს

-1709, 2 დეკემბერი.

ანთიმი, ღვთის წყალობით სრულიად უნგროვლახეთის მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი და მიწების ეგზარხოსი[2]

პატიოსან მღვდლებს, რომლებიც მსახურობთ ბრაშოვის შკეის ეკლესიებში და თქვენ, ამ ეკლესიის მამასახლისებსა და მოსამართლეებს, ყველას ერთად გისურვებთ ყოვლადძლიერი ღმრთისაგან იქონიოთ მშვიდობა, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და სულის ცხონება, ხოლო ჩვენი სიმდაბლისაგან გითვლით ლოცვასა და კურთხევას. მას შემდეგ, რაც მარადიულ სამყოფელში გადავიდა განსვენებული მიტროპოლიტი და მეუფე თეოდოსი და ჩვენ დავდექით მის ადგილას, მრავალი ამქვეყნიური საზრუნავითა და შფოთით მარად შეზღუდულმა ვერ გამოვნახეთ დრო რათა მოგვეწერა თქვენთვის, პირველი, რომ მოგვეკითხა თქვენი ჯანმრთელობა, და მეორე, რომ კურთხევის ნიშნად ჩვენი ვალდებულების შესაბამისად გამოგვეგზავნა თქვენთვის რაიმე მოძღვრება-დარიგებანი, რადგან თქვენთან არსებული წმინდა ეკლესია არის ჩვენი [კანონიკური] მზრუნველობის ქვეშ (განსაკუთრებით 1701

წლიდან, როდესაც ტრანსილვანიაში გავრცელდა უნია და წერილობით, თქვენ შეჰფიცეთ მორჩილება იმ ქვეყნის ბატონებს). ამიტომ წერილის მეშვეობით თუ სხვა ხერხით მუდმივად ვალდებულები ვართ მოგაწოდოთ სულიერი დარიგებანი, როგორც აღმოსავლეთის [მართლმადიდებელი] წმინდა ეკლესიის სხეულის ნაწილების. მოგიწოდებთ მარადის ურყევად დაიცვათ ყველა ეს წმინდა სწავლება, რომელიც დამტკიცებულია წმინდა კრებების მიერ. ბევრისგან გაგვიგია, რომ ის ეკლესია, რომელიც მღვდლებისა და მათი მამასახლისების დაუდევრობისა და განსაკუთრებით მათი ურწმუნოების გამო რჩება მოუკითხავად და უპატრონოდ დღიდან დღემდე და თავს იღუპავს, ამის შესახებ ამბობს წინასწარმეტყველი დავითი: „რომელიც დაუდევრობს ღვთის საქმეს, წყეულ არს“, ამიტომ იმ დროს, როდესაც თქვენ შეუდექით ღვთისმსახურებას არ გამოიჩინეთ თავი, რათა როგორც დაუდევარ ღვთის მსახურთ არ მოისმინოთ საყვედურის მრისხანე სიტყვები. ამიტომ, ამჯერად გწერთ, რომ შეასრულოთ ორი საქმე: პირველი, ყოველ წელიწადს თქვენს მიერ დადებული აღთქმის შესაბამისად, ორ-ორი ადამიანი მობრძანდეთ, რათა ჩვენგან მიიღოთ საჭირო სწავლა-დარიგებანი; და მეორე, [როგორც ჩვენ გავიგეთ] რადგან ისე მოხდა რომ მარადიულ სამყოფელში განისვენა ერთ-ერთმა მამასახლისმა, საჭიროა აირჩიოთ მის ადგილზე სხვა შრომისმოყვარე, ღვთისმოშიში ადამიანი, ღირსი ამ მსახურებისათვის, ვინც იზრუნებს ეკლესიაზე, იზრუნებს იმაზე, რომ გაამრავლოს და არა გაფლანგოს მისი შემოსავალი; როგორც გამიგია ასეთი რამ მომხდარა თქვენს შორის. მაშასადამე ეკლესიის ფული, რომელიც იქნება დარიგებული სხვადასხვა ადამიანებისათვის, მოიკითხეთ და შეაგროვეთ ამ ფულის სარგებელი და ისევ ეს ფული იქნეს გონივრულად გამოყენებული. რომელი ადამიანებისგანაც შეიტყობთ, რომ დაკარგვის საფრთხის წინაშეა გარკვეული თანხა, არ მიუშვათ ეს საქმე, არამედ იზრუნეთ და წინასწარ დაიბრუნეთ ის ფული. ყველაფერი რასაც გწერთ უნდა შეასრულოთ ეკლესიის მიმართ სიყვარულითა და სითბოთი თქვენი სულების სარგებლობისათვის, ხოლო თუ არ შეასრულებთ ყველაფერს რასაც გარიგებთ არა მხოლოდ ღვთისგან მიიღებთ განკითხვასა და სასჯელს, არამედ ჩვენგანაც გექნებათ

პატივაყრა და საეკლესიო წყევლა. იმოქმედეთ ისე, როგორც გარიგებთ, რათა მადლი ღვთისა იყოს თქვენთანა.

[სამყაროს შექმნიდან] 7217 წელი, 2 დეკემბერი.

უნგროვლახეთის მდაბალი მიტროპოლიტი

ანთიმოზი

---

[1] წერილი ინახება ბრაშოვის მუზეუმის არქივში იხ. Documentul 39/1709 din Arhiva Muzeului din Șcheii Brașovului, publicat de Sterie Stinghe, Documente privitoare la trecutul românilor din Șchei (1700- 1783), vol. I, Tipografia Ciurcu & Comp., Brașov, 1901, p. 43-45 și de ÎPS dr. Laurențiu Streza și Pr. prof. Vasile Oltean, Sfântul Constantin Brâncoveanu și brașoveanu, Editura Andreiana, Sibiu, 2014, p. 382-383. წერილი თარგმნილია კრებულიდან: ანთიმოზ ივერიელი; წერილები, ბუქარესტი, გამ-ბა ბაზილიკა, 2014. გვ. 27-29. Scrisori / Sfântul Antim Ivireanu ; lucrare publicată cu binecuvântarea Preafericitului Părinte Daniel, Patriarhul Bisericii Ortodoxe Române ; ed. îngrijită de Arhimandrit Mihail Stanciu şi acad. Gabriel Ştrempel. - Bucureşti : Basilica, 2014. A doua scrisoare75 a mitropolitului Antim Ivireanul prin care dă noi sfaturi slujitorilor bisericii din Șcheii Brașovului - 1709, 2 decembrie.

[2] ეს ფრაზა წერილში სლავურადაა დაწერილი